N42 2016 წლის 5 თებერვალი ქ. თბილისი

დ. ლეჟავასთვის, ი. დარჩიაშვილისა და ი. ლითანიშვილისთვის „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი)“ სასესხო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს **დავით ლეჟავას,** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველ მოადგილეს **ილია დარჩიაშვილსა** და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს **ირაკლი ლითანიშვილს** მიენიჭოთ „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი)“ სასესხო ხელშეკრულების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

გიორგი კვირიკაშვილი